საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება:

- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებსა და ფიზიკურ პირებთან ერთად ტარდება სასწავლო კურსი „**საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა/ანგარიშგება ორისის გამოყენებით**“ (8 მსმენელი).
- სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ფიზიკურ პირებთან ერთად აკადემიის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება, მართვა“,** რომლის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება, კორპორატიული ფინანსები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა (2 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელს საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის სიახლეების გაცნობისა და პრობლემური საკითხების განხილვის მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩაუტარდა ტრენინგი **„სამუშაო შეხვედრები საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვაში“** (1 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის სიახლეების გაცნობისა და პრაქტიკული ქეისების განხილვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურის თანამშრომლებისთვის მიმდინარეობდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (10 მსმენელი).
- ცენტრალური აპარატის, საგამოძიებო სამსახურის, აკადემიისა შემოსავლების სამსახურის და სახაზინო სამსახურის მენეჯერებისათვის ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„ლიდერობა და მართვა“** (40 მსმენელი).
- ვერბალური, არავერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებისა და დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **“სტრატეგიული კომუნიკაცია“** (14 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის პრეზენტაციებისა და საჯარო გამოსვლების უკეთ განხორციელების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„პრეზენტაციის**

- **ჩატარებისა და მომზადების ტექნიკა**“ (14 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის მენეჯერული პოზიციის თანამშრომლებისთვის საჯარო სამსახურის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგების ციკლი **„შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა“** (40 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებისათვის განხორციელდა სასწავლო კურსები **საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმება** და **საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი** (124 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობისა და აუდიტის ჩატარების გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის დასრულდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები**“ (8 მსმენელი).
- კერძო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საქართველოს შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის, საგამოძიებო სამსახურის, ცენტრალური აპარატისა და ხაზინის თანამშრომლებმა სხვა კომპანიების თანამშრომლებთან ერთად დაასრულეს სასწავლო კურსი **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)“** (14 მსმენელი).
- სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის არალეგალური გზით შემოტანილი თამბაქოს ამოცნობისა და კანონდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„თამბაქოს პროდუქციით უკანონო ვაჭრობა“** (73 მსმენელი).

- დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და რთული ქეისების განხილვისმიზნით, აკადემიისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ესწრებოდა ტრენინგ კურსს „**დამატებული ღირებულების გადასახადი**“ (6 მსმენელი).
- თანამშრომელთა შეფასების სისტემის არსისა და ფუნქციიონირების უკეთ გაცნობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების უფროსებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**კომუნიკაცია შეფასების სისტემაში**“ (12 მსმენელი).
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში გამართული მუშაობისა და განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩაუტარდათ ტრენინგი **„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების**
-

- **სისტემა“** (4 მსმენელი).
- სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიზნით საკანონმდებლო საქმიანობაში ჩაუტარდათ ტრენინგი **„ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია“** (37 მსმენელი).
- სამუშაო დროისა და მიზნების ეფექტურად და პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სსიპ-შემოსავლების სამსახურის, სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და ხაზინის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„დროისა და მიზნების მართვა“** (46 მსმენელი).
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სწორად გამოყენების პრინციპებისა და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს მიერ შემუშავებული მიდგომების გაცნობის მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებთან ერთად შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმების გამოყენება“** (4 მსმენელი).
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონების, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესების და პროცედურების დაცვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“** (8 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (16 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს სხვა უწყებების წარმოადგენლებისთვის სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლებს ეფექტური მომსახურების ტექნიკების დაუფლების კუთხით ჩაუტარდათ ტრენინგი **„ეფექტური მომსახურება“** (302 მსმენელი)
- შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს ეფექტური მოლაპარაკებებისა და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვის ტექნიკების დაუფლების კუთხით მიმდინარეობს ტრენინგი **„კონფლიქტური სიტუაციების მართვა“** (284 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (9 მსმენელი).
- სტრესის პირობებში სიტუაციის ადეკვატურად მართვის, სტრესით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრავმის სირთულეების დაძლევის და გადალახვის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„პროფესიული სტრესის**

- **მართვა“** (41 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ექსელის პროგრამის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით ტარდება ტრენინგი **„Ms. Excel პროფესიული კურსი, დონე- Basic“** (143 მსმენელი).
- პროექტების მართვის სტრუქტურის, პროცესის, ვადების, რისკის იდენტიფიცირების, შესაბამისის პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესწავლის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„პროექტების მართვა“** (15 მსმენელი).
- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის“ თანამშრომლობით, სოციალური მედიის მართვის უნარების გაუმჯობესებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი: **„სოციალური მედიის მართვა“** (12 მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს, დარწმუნების უნარებისა და მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკების დახვეწის მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი კურსი **„საქმიანი მოლაპარაკებების მართვა ჰარვარდის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით“** (70 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ფორმებისა და პრინციპების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესის, დავებისა და პრობლემების გადაჭრის გზების, სახელმწიფოსა და საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის საკითხების განხილვის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (43 მსმენელი).
- Ms. Word; Ms. PowerPoint-ში მუშაობის ტექნიკების დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა **სიღრმისეული კურსი Ms.Word; Ms.PowerPoint** (სულ 14 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეტარტამენტის სტაჟიორებისთვის საგადასახადო კუდექსისა და აუდიტის განხორციელების პროცედურების თეორიული სიღრმისეული ცოდნისმიღების მიზნით უტარდებათ სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობის სასწავლო კურსი აუდიტის დეპარტამენტის სტაჟიორებისთვის“** (სულ 71 მსმენელი).
- საგამოძიებო მოქმედება გამოკითხვის ჩატარების სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა და მისი ეფექტურობის ამაღლების, შემდგომში სხვა თანამშრომლების დატრენინგების მიზნით საგამოძიებოს სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები: **საგამოძიებო მოქმედება გამოკითხვის ჩატარების ტექნიკა;**

- **სამსახურეობრივი ინფორმაციის მოპოვების ასპექტები; საგამოძიებო სამსახურის ინსტრუქტორთა მომზადების კურსი**(სულ 35 მსმენელი).
- საჯარო ორგანიზაციებში საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით საჯარო ორგანიზაციების მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს საშუალო რგოლის წარმომადგენლები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საჯარო ფინანსების მართვა“** (5 მსმენელი).
- ფინანსთა სამინიტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის GIZ-ის დაფინანსებით ჩატარდა ტრენინგი **„პროგრამული ბიუჯეტირება“** (17 მსმენელი).

- საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებისათვის ჩატარდა შემდეგი კურსები: სასწავლო პროგრამა-გეზი“; “საბაჟო დეპარტამენტის ვეტერინარიის სტაჟიორების სასწავლო პროგრამა”; “საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის სამმართველოს სტაჟიორების სასწავლო პროგრამა”; “საბაჟო გამშვები პუნქტი”; “საბაჟო დეპარტამენტის სპეციალური ტექნიკის სამმართველოს სტაჟიორების სასწავლო პროგრამა”; “საბაჟო დეპარტამენტის სპეციალური ტექნიკის სამმართველოს სტაჟიორების სასწავლო პროგრამა. (208 მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისთვის ეფექტური მომსახურების უნარების დაუფლების კუთხით ჩაუტარდათ ტრენინგი „**ეფექტური მომსახურების ტექნიკები**“ (20 მსმენელი)

- საგამოძეიბო სამსახურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ მენეჯმენტი სამართალდამცავთათვის“ (31 მსმენელი).

- საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორებისათვის ჩატარდა სპეციალიზებული კურსი (35 მსმენელი)
- ინგლისური ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურიაპარატის თანამშრომლებს დონეების მიხედვით უტარდებათ ტრენინგები ინგლისურ ენაში: English Elementary, English Pre Intermediate, English Intermediate და Business English (40ო მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სხვა საქვეუწყებოებისა თუ სსიპ-ების თანამშრომლებისათვის ეფექტური მოლაპარაკებებისა და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვის ტექნიკების დაუფლების კუთხით მიმდინარეობს ტრენინგი „**ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და კონფლიქტების მართვა**“ (23 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისთვის ლიდერობის მიმართულებით ახალი ტექნიკებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა **„ლიდერობა-**

- **მიზანზე ორიენტირებული კომუნიკაცია“** (28 მსმენელი).

<u>ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა პროფესიული ტესტირებების ორგანიზების გზით ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის</u>

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე და საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორების შესარჩევ კონკურსზე პროფესიული მიმართულების ტესტირება, ტესტირება ზოგადი უნარებში და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდათ დასაქმების მსურველ კანდიდატებს (სულ 1382 კანდიდატი, 18 ტესტირება).
- საკონსტიტუციო სასამართლოს, სსიპ-ტექნიკურ სამშენებლო ლაბორატორიას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატს, ხულოს მუნიციპალიტეტს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიას მერიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე ჩაუტარდა პროფესიული მიმართულების ტესტირება, ტესტირება და გასაუბრება ინგლისურ და რუსულ ენებში, წერითი დავალება კომპიუტერულ პროგრამა-AutoCAD-ში (სულ 1369 კანდიდატი, 11 ტესტირება)

<u>ფინანსთა სამინისტროს რეფორმების ხელშეწყობა ტრენინგების უზრუნველყოფით:</u>

- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 1 დღიანი ტრენინგი **„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ცვლილებების გაცნობა“** (სულ 600 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 1 დღიანი ტრენინგი **IPSAS სტანდარტების დანერგვის შედეგად აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში 2017-2018 წლებში განხორციელებულ ცვლილებები** (250 მსმენელი)

- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ფულადი სახსრების პროგნოზირებისა

- და მართვის, ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტისა და შიდა აუდიტის

დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: **საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები- 23 ადამიანი ხათუნა** (23 მსმენელი)

<u>ტრენინგების ორგანიზება დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის, ფიზიკური პირებისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით:</u>

- საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო აუდიტის განხორციელების პროცედურების, აუდიტის არსისა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებისა და ფიზიკურ პირებისთვის დასრულდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (58 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო აუდიტის განხორციელების პროცედურების, აუდიტის არსისა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებისა და ფიზიკურ პირებისთვის მიმდინარეობს სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (20 მსმენელი).

- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა საწარმოს წარმომადგენლებისთვის დასრულდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (81 მსმენელი).
- ბიზნეს სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებისთვის დასრულდა სასწავლო კურსი **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში“ (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)** (52 მსმენელი) .
- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის სიახლეების გაცნობისა და პრობლემური საკითხების განხილვის მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„სამუშაო შეხვედრები საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვაში“** (34 მსმენელი).

- სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და ფიზიკური პირებისთვის ხორციელდება ტრენინგი **„ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება, მართვა“**, რომლის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება, კორპორატიული ფინანსები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა (23 მსმენელი).
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში გამართული მუშაობისა და განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“** (50 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვა/ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის დასრულდა სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგება“** (14 მსმენელი).
- ექსელის პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ფიზიკური პირებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ფინანსური მოდელირება ექსელში“** (52 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენელს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით, ჩაუტარდა ტრენინგი **„ლიდერობა და მართვა“** (2 მსმენელი).
- ბიზნეს სექტორის ხელმძღვანელი პირებისათვის, საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვისა საბაზისო ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„ბიზნეს რისკების მართვა საგადასახადო და ფინანსურ საკითხებში“** (21 მსმენელი) .
- აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული შპს-ების ფინანსური სამსახურის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგ კურსი **„გადასახადების აღრიცხვა/ანგარიშგება**“ (21 მსმენელი).
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სწორად გამოყენების პრინციპებისა და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს მიერ შემუშავებული მიდგომების გაცნობის მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმების გამოყენება“** (46 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დღგ-ს დაბეგვრის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ სიღრმისეული ტრენინგ კურსი „**დამატებული ღირებულების გადასახადი“** (სულ 83 მსმენელი).

- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, კერძოდ, მოგების გადასახადის ახალი მოდელის გაცნობის მიზნით კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგ კურსები „**მოგების გადასახადის ახალი წესები და მასთან დაკავშირებული სიტუაციური სახელმძღვანელოების განხილვა**“ (25 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებსა და ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ სასწავლო კურსი „**საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა/ანგარიშგება ორისის გამოყენებით**“ (26 მსმენელი).
- ASYCUDA WORLD"-ის დეკლარირების მოდულთან მუშაობის მიმართულებით გადასახადის გადამხდელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„ASYCUDA WORLD-ის დეკლარირების მოდულთან მუშაობა“** (34 მსმენელი).
- საფოსტო გზავნილით შემოტანილ საქონელზე განსახორციელებელი გამარტივებული საბაჟო პროცედურების მიმართულებით საფოსტო გადამზიდავების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი **„საფოსტო გზავნილით შემოტანილ საქონელზე განსახორციელებელი გამარტივებული საბაჟო პროცედურები“** (16 მსმენელი).
- საზოგადოებაში აკადემიის შესახებ ცნობიერების ამაღლების და განახლებული, თანამედროვე სტანდარტებს მორგებული სასწავლო თუ ტრენინგ კურსების პოპულარიზაციის მიზნით, ფიზიკური პირებისა და კერძო საწარმოების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ღია ლექციები აკადემიაში მიმდინარე სასწავლო კურსებისა თუ ტრენინგების თემატიკიდან გამომდინარე (სულ 1554 მსმენელი).
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ბიზნეს სექტორის ფინანსური განყოფილების წარმომადგენლებისათვის ქ. თელავში ჩატარდა გაცნობითი პრეზენტაცია **„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს")“** (50 მსმენელი).
- საჯარო ფინანსების მართვის კუთხით არსებული სიახლეების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით, საქართველოსა და სომხეთის საჯაროს სექტორის შიდა აუდიტის თანამშრომლებს, GIZ-ის მხარდაჭერით ჩაუტარდათ ტრენინგი **„საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“** (26 მსმენელი).
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონების, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესების და პროცედურების

დაცვის მიზნით, სხვადსხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“** (101 მსმენელი).

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროs თანამშრომლებისთვის ექსელის პროგრამის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„Ms. Excel პროფესიული კურსი, დონე- Intermediate“** (30 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროსა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ერთობლივი დაფინანსების მოწყვლადი ჯგუფის ქალბატონებისათვის ტარდება 2 პროფესიული კურსი **„ოფისის მენეჯერი- საქმეთა მმართველი“** (15 მსმენელი) **და „გახდი ბუღალტერი“** (20 მსმენელი).
- კერძო საწარმოების წამომადგენლებს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურების გაცნობის მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი **”ინვენტარიზაციის საგადასახადო აღრიცხვა / ანგარიშგების ჩატარების წესი კერძო სექტორში“** (94 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (62 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებთან ერთად დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (3 მსმენელი).
- თანამშრომელთა შეფასების სისტემის არსისა და ფუნქციონირების უკეთ გაცნობის მიზნით, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„საჯარო სამსახურში თანამშრომელთა შეფასების საფუძვლები“** (25 მსმენელი).
- საზღვრისპირა ტერიტორიების მეწარმე ქალებისთვის, მთავრობის დადგენილების თანახმად, კერძო მეწარმეობის განვითარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“** (33 მსმენელი).
- სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები **ელექტრონულ ხაზინაში პირველადი აღრიცხვის ფორმებზე და სამეურნეო ოპერაციების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვაზე** (17 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა: **“გამოცდილების გაზიარება IT აუდიტის მიმართულებით”** (25 მსმენელი), რომელიც მიზნად ისახავდა გაეცნო სხვადასხვა

სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური აუდიტის პირველადი შედეგები, ხოლო აქართველოს თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროების სისტემაში შემავალი შიდა აუდიტის სუბიექტებისა და შ.პ.ს "დელტას" წარმომადგენლების პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჰოლანდიელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგი: **"IT აუდიტი"** (13 მსმენელი).

- სს კრედო ბანკის თანამშრომლებისთვის საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გაცნობის მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„საგადასახადო ადმინისტრირება"** (სულ 14 მსმენელი).
- დღგ-ს დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგ კურსი **„სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროში დღგ-ს თავისებურებანი** (სულ 18 მსმენელი).
- ტრანსფერ ფრაისინგის შესახებ სხვადასხვა ქეისის მეშვეობით საგადასახადო რისკების ანალიზის კუთხით კერძო სექტორის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგკურსი „ტრანსფერ ფრაისინგი - საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები"(სულ 12 მსმენელი) .
- ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (შემდგომში პგპ) მხარდაჭერით საქართველოს საპარლამენტო კომიტეტების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა - საქართველოს მაგალითი".** ტრენინგის მიზანია მონაწილეებს გაუღრმავოს ცოდნა ეკონომიკის, მაკროეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის სექტორებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების თაობაზე (15 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, GIZ-თან თანამშორმლობით ტყის ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც ჩართულბი არიან ტყის ეროვნული ინვენრარიზაციის პროცესში ჩაუტარდათ **„ტრენინგი დისტანციური ზონდირების და GIS-ის გამოყენების საკითხებზე ტყის ინვენტარიზაციაში"**, რომლის მიზანს წარმოადგენდა გაეცნო მონაწილეებისათვის დისტანციური ზონდირება და GIS პროგრამა და ამავდროულად ხაზი გაესვა ტექნოლოგიების მნიშვნელობისთვის ტყის ინვენტარიზაციის პროცესში (13 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის იტალიური გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი სხეულის ენა (11 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით დავებისა და შეთანხმებების პროცესების განხილვისა და დაბეგვრის სხვადსხვა საკითხთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების

წარმომადგენლებს ჩაუტარდათ სიღრმისეული ტრენინგ კურსი **„სადაგადასახადო დავები და შეთანხმება“** (სულ 8 მსმენელი).

- მცირ და საშუალო ბიზნესში დასაქმებული მეწარმე ქალებისთვის აკადემიამ ჩაატარა ღია ლექციები მიმდინარე პროცესების აქტუალურ საკითხებში (41 მსმენელი).
- საჯარო ორგანიზაციებში საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით, საჯარო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საჯარო ფინანსების მართვა“** (5 მსმენელი).
- ASYCUDA WORLD"-ის დეკლარირების მოდულთან მუშაობის მიმართულებით გადასახადის გადამხდელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გოსალინ მობილითი ჯორჯიას თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„საბაჟო კანონმდებლობა და საქონლის გაფორმების პროცედურები ASYCUDA WORLD"-ის მოდულის გამოყენებით“** (3 მსმენელი).
- ქონების გადასახადის გამოანგარიშების (საბალანსო და საბაზრო ღირებულების გათვალიწინებით) და მისი ვადებში დეკლარირების, შეღავათებით სწორად სარგებლობის მიზნით კერძო კომპანიების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„ქონების გადასახადის გამოანგარიშება საგადასახადო კოდექსისა და ფასს-ის მიხედვით“.** (8 მსმენელი)
- აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული შპს-ების წამომადგენლებს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურების გაცნობის მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი **”ინვენტარიზაციის საგადასახადო აღრიცხვა / ანგარიშგების ჩატარების წესი კერძო სექტორში“** (21 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციების მაღალი და საშუალო რგოლის წარომადგენელებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა მთავრობის ოპტიმიზაცია და სამინისტროთა გაერთიანება: საჯარო ფინანსების მართვისა და აუდიტის პროცესის გამოწვევები. (22 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დაბეგვრის გარკვეულ ნორმებთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული საკითხები“** (სულ 8 მსმენელი).
- აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და მასზე დაქვემდებარებული შპს-ების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„მოგების გადასახადის ადმინისტრირების წესი კერძო მეწარმე სუბიექტებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში“** (21 მსმენელი)
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სასწავლო კურსები **საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება** (10 მსმენელი) და **სახელმწიფო შესყიდვები** (10 მსმენელი)
- აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებისა და კომიტეტების

- წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი საბიუჯეტო სისტემა, პროგრამული ბიუჯეტირება' (11 მსმენელი)
- სიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგკურსი **„საფინანსო ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობა საბიუჯეტო ორგანიზაციებში**" (5 მსმენელი).
- რისკების მართვის ჩამოყალიბებისა და საშუალო რგოლის მენეჯერების ცნობიერების ამაღლების მიზნით ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: **სტრატეგიული დაგეგმვა საჯარო სამსახურებისთვის** (45 მსმენელი)
- ოთხ სამინიტროში (გარმოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები) რისკების მართვის ჩამოყალიბების მიზნით საშუალო რგოლის მენეჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: **ეფექტური რისკების მართვა საჯარო დაწესებულებაში** (45 მსმენელი)

<u>საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო კურსების განხორციელების (მათ შორის, რეგიონალური) მიზნით:</u>

- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის" თანამშრომლობით, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პრეზენტაციებისა და საჯარო გამოსვლების უკეთ განხორციელების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი: **„პრეზენტაციის ჩატარებისა და მომზადების ტექნიკა"** (16 მსმენელი).
- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის" თანამშრომლობით, პროფესიული სასწავლებელი მერმისის სტუდენტებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, თემაზე „**ცნობიერების ამაღლება საგადასახადო საკითხებში**"(50 მსმენელი).
- სხვადასხვა უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირებისა და ფინანსური მიმართულების სტუდენტებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსები: **„ფინანსების მართვის პრინციპები კერძო კომპანიებში"** (25 მსმენელი), **„საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლები"** (25 მსმენელი).
- სხვადასხვა უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირებისა და ფინანსური მიმართულების სტუდენტებისთვის მიმდინარეობს სასწავლო კურსები: **„ფინანსების**

მართვის პრინციპები კერძო კომპანიებში“ (26 მსმენელი) და დასრულ და კურსი **ფინანსური მოდელირება ექსელში** (14 მსმენელი).

- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი: **ეფექტური მომსახურება და კომუნიკაცია (21 მსმენელი)**
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამუშაო გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით, ტაჯიკების ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრა (13 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, სპეციალურად შერჩეული ქართველი ეკონომისტების ჯგუფისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ანალიზი DSGE მოდელის გამოყენებით“** პირველი (12 მსმენელი) და მეორე ნაწილი (11 მსმენელი).
- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მხარდაჭით უცხოელი ექსპერტის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„საკვების საერთაშორისო სტანდარტები - კოდექს ალიმენტარიუსი“** და ტრენერთა ტრენინგი თემაზე: **„რენტგენის გამოსახულების ამოცნობა“.**
- „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (ელსა) საქართველოდან“ თანამშრომლობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის თეორიულ და პარქტიკულ ნაწილში საგადასახადო სამართლის დეტალურად გაცნობისა და სამართლებრივი ცოდნის გაღრმავების მიზნით, ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„სამართლებრივი კურსი საგადასახადო სამართალში“** (14 მონაწილე).
- მსოფლიო ბანკის მისიის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში აკადემიაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის, ასევე ქ. თბილისის, ქ. ბათუმის და ქ. მარტვილის მერიის საფინანსო განყოფილებების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი: **„სახელმწიფო ხარჯები და ფინანსური ანგარიშვალდებულებები (PEFA)“** (28 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„ფისკალური მდგრადობა“,** რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეებისთვის მიეცა ცოდნა პოლიტიკის იმ ინსტრუმენტებზე რომლებიც აუცილებელია ფისკალური მდგრადობის შეფასებისთვის (24 მსმენელი).

- „ჯუნიორ ეჩივმენტ ჯორჯიასთან“ და შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი „ინოვაციური ბანაკი“ თემაზე: **გადასახადის გადამხდელის ეთიკა.** პროექტი მიზანად ისახავდა ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობასა და განათლებას აღნიშნულ სფეროში (105 მონაწილე).
- აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტროს დელეგაციისათვის მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა ელექტრონული აუქციონისა და სხვა დანერგილი სიახლეების გაცნობის მიზნით ჩაუტარეს სამუშაო შეხვედრა **ელექტრონული აუქციონის სისტემა და ელექტრონული წესით სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესი** (15 მონაწილე).
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ორმაგი დაბეგვრის შესახებ კონვენციის გამოყენება“,** რომელიც მიზნად ისახავს იურისდიქციების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს, აგრეთვე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობის დადგენას საერთაშორისო სტანდარტთან (30 მსმენელი).
- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის“ თანამშრომლობით, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი: **„საქართველო და ევროპასთან ასოცირება“** (30 მსმენელი).
- დასაქმების ხელშეწყობისთვის სტუდენტური პროექტის ფარგლებში ეფექტური მომსახურების ტექნიკების დაუფლების კუთხით სხვადსხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**ეფექტური მომსახურება და კომუნიკაცია“** (21 მსმენელი)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, სპეციალურად შერჩეული ქართველი ეკონომისტების ჯგუფისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„მოდელირებული მონეტარული პოლიტიკის ანალიზი და პროგნოზირება (I ნაწილი) MPAF”** (17 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„ფინანსური განვითარება და ფინანსური ჩართულობა“**, რომელიც მიზნად ისახავ გაუღრმავოს საჯარო მოხელეებს ცოდნა ფინანსების როლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკაში და შედეგად შეამუშავებინოს მათ პოლიტიკის ისეთი მაიმართულებები, რომლების წაახალისებენ ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლას (30 მსმენელი).

სტუდენტების სამეწარმეო და ბიზნეს საკითხებში გათვითცნობიერების მიზნით აჭარის რეგიონის სტუდენტებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრა - **ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა** (13 მსმენელი)

- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს ქალთა ორგანიზაციაის (UN WOMEN) თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: როგორ ვმართოთ და განვავითაროთ ბიზნესი 3 ჯგუფისთვის (51 მსმენელი) და როგორ დავიწყოთ ბიზნესი 2 ჯგუფისთვის (34 მსმენელი) და 4 სამუშაო შეხვედრა 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმების განფასების მიზნით სახელმწიფო უწყებების საფინანსო მიმართულების თანამშრომლებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრები (34 მსმენელი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა ასევე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;*
- *საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;*
- *საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით*

მიღწეული საბოლოო შედეგი:

-

- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა ასევე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;*
- *საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;*
- *საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით*

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო კურსების განხორციელება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით ასევე სამუშაო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად (მუდმივი პროცესი); 2017 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1263 თანამშრომელი 2018 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1938 თანამშრომელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ყოველწლიურად 5%-ით ზრდა

   ფაქტიური შედეგი - გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 53.4%-ით.

2. ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების და საჯარო და კერძო სექტორისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების ასევე უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი) აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს აკადემია ახორციელებს ტესტირებას და შეფასებას მოთხოვნის საფუძველზე.

2017 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 39 (2963 აპლიკანტი) ტესტირება
2018 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 29 (2751 აპლიკანტი).

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის ზრდა 2%-ით

ფაქტიური შედეგი - ფაქტიურად ჩატარებული ტესტირების აპლიკანტების რაოდენობა შემცირდა 7,15 %-ით.

2017 წლის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებში გამოცხადებული კონკურსების მაღალი რაოდენობით. 2018 წელს შექმნილი დანაკლისი ტესტირების და შეფასების კუთხით ნაწილობრივ აღმოფხვრილი იქნა სხვა საჯარო და კერძო დაკვეთებით.

3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადებული კადრების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით გავრცელების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას როგორც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის ასევე კერძო სექტორისთვის 2017 წელს აკადემიაში გადამზადდა 750 დაინტერესებული ადამიანი 2018 წელს აკადემიაში გადამზადდა 873 დაინტერესებული ადამიანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 2%-ით

ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 16.4%-ით.

4. საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ტრენინგებს დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის ფიზიკური პირებისთვის კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2017 წელს აკადემიაში გადამზადდა 3311 დაინტერესებული ადამიანი 2018 წელს აკადემიაში გადამზადდა 3070 დაინტერესებული ადამიანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 2%-ით
ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 7.28%-ით.
შემცირების მიზეზს წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ნაწილი ჩასატარებელი ღონისძიებების გადავადება 2019 წლისთვის.

5. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა
საბაზისო მაჩვენებელი - 2017 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 449 პირი 2018 წელს აკადემიაში

6. საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 633 პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების ფარგლებში გადამზადებულ პირთა რაოდენობის ზრდა 2 %-ით
ფაქტიური შედეგი - გადამზადებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 41%-ით.